საქართველოს კონსტიტუცია 24-ე და 41 მუხლები

მუხლი 24

+

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია , გამ ოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრიზეპირად , წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით .

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია . ცენზურა დაუშვებელია .

3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელ ების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შეს აძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთიპირობებით , რომლებიც აუცილებელია დემოკრატი ულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების , ტერიტორიული მთლიანობის ანსაზოგადო ებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად , დანაშაულის თავიდან ასაცილებლად , სხვათა უფლებებისა და ღირსებისდასაცავად , კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამ ჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოსდამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლ ობის უზრუნველსაყოფად .

მუხლი 41

+

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სა ხელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულინფორმაციას , აგრეთვე იქ არსებულ ოფიცია ლურ დოკუმენტებს , თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო , პროფესიულ ან კომერციულსაიდ უმლოებას .

2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია , რომელიც დაკავშირებულია ადამია ნის ჯანმრთელობასთან , მის ფინანსებთან ანსხვა კერძო საკითხებთან , არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე , გარდა კანონით დადგენილიშ ემთხვევებისა , როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უ საფრთხოების უზრუნველსაყოფად , ჯანმრთელობის , სხვათა უფლებებისა და თავისუფლებ ების დასაცავად .

საქართველოს კონსტიტუცია
https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36